# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 136 კვირა, 21 ივნისი 1909 წ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. პატარა წერილებს და კორესპონდენციებს უსასყიდლოდ ვეჩენა. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


გიგო ილარიონის ძე ხარხარაშვილი შვილი ვარათი, ნინა, გურბელაძისა, სოფიო, ლებანიძისა. მარიამი, ალექსი მაისურაძენი, მღ. იოანე ქრისტესის ძე ლებანიძე და ზაქარია გაბრიელის ძე გურბელაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას: პირველი—დისა, მეორე—მამიდისა, მესამენი—დაუვიწყარ დედისა, ხოლო ორი უკანასკნელი—სიდედრის

## ანნა ილარიონის ასულის მაისურაძისას.

პანაშვიდი დღეს, სალამოს 7 ს. გამოსვენება კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში კვირას, 21 ივნისს, დილის 9 ს. და დაკრძალვა ამავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. ადრესი: პირველი თუმანოვის ქუჩა, № 4. (2—303—2)

სოფრომ მგალობლიშვილი მეუღლით და შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის შვილის

## ლ ე ვ ა ნ ი ს

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება დღეს, 21 ივნისს, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. პანაშვიდი წირვის შემდეგ 12 საათზე. (1—1)

ისააკ გრიგორის ძე ჩივაძე, ანნა გრიგორის ასული და ივანე როსტომის ძე ძიძიგურები და ოლგა გიორგის ასული ჩივაძისა შვილებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—დაუვიწყარ მამის, მესამე—სიმამრის და მეოთხე—მამამთილის

## გრიგოლ გაბრიელის ძის ჩივაძისას.

პანაშვიდი დღეს, საღამოს 8 საათზე. ცხედრის გამოსვენება ხვალ, 22 თიბათვეს, კალოუბნის ეკლესიაში, საიდანაც წაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—ხიმ.—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 21 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა:**

## ქორწიანი ტოროლა

პიესა 4 მოქმ. ვილდენბრუხისა, თარგ. ს. ტ—სა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი სწორედ სალამოს $8^1/_2$ საათზედ.**

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასსაში დილით 12—2 ს. და სალამოთი 6—8 ს. ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აღკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

მ ხ ო ლ ო დ 2 დ ღ ი თ

15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22 და 23 ივნისს

## ნ. ი. კუნდურის

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო სახლი.

## დაკლებულის ფასით: ქალის საცვალი, ქალის ხალათები

ჩულქები, წინდები

შალისა იუბკები აბრეშუმისა. (1—ხალ.—1)

ფ ა ს ე ბ ი შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ

დაკლებულის ფასებით — ფასები შეუვაჭრებლად

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—175)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

## მამული

იძლევა იჯარით ორი ნაჭერი მიწისა, აქედან სახნავი 27 დესეტინა, სანახირო ჯაგნარი—11 დესეტინამდე და მოუვლელი ბაღი საჯინიბოთი 3 დესეტინა.

პირობების გაგება შეიძლება ძმ. ზუბალაშვილების კანტორაში, გოლოვინის პრ., № 8. (3—300—3)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791 ნ. 93)

22, 23, 24, 25, 26, 27, 29 და 30

# პ. ს. დოროჟნოვი

სოლოლაკის ქუჩა, ს. გურგენოვისა, ტელ. № 583.

ყოველ დღე შემოღებულის წესით, შესამჩნევად დაკლებულის ფასებით გაიყიდება **სასეზონო ნივთები.**

## მხოლოდ 8 დღის განმავლობაში

რადგან სეზონი მალე თავდება და რადგან არ გვინდა სეზონის საქონელი მომავალ წლისთვის დარჩეს, ზემოდ დასახელებულ დღეებში სეზონის საქონელი გაიყიდება შესამჩნევად დაკლებულ ფასებით.

საზაფხულო ფერად ქსოვილების განყოფილე-ბაში გაიყიდება ძალიან იაფად მხოლოდ პირველ ივლისამდე.

## სოლცარი იაფობა-სარატოვის სარპინკები

რომელიც ხელით არის მოქსოვილი. ვურჩევთ ყველას, როგორც მეტად მკვიდრ, მსუბუქ და კოხტა საქონელს. თავის დღეში არა ხუნდება გარეცხის დროს. იყიდება ძალიან იაფად.

## მხოლოდ 1-ლ ივლისამდე.

სარატოვის სარპინკები არშ. 9 კ.-დან; სარპინკა ინგლისური, სუფთად მოქსოვილი, არშ, $12^1/_2$ კ.-დან; სარპინკა აბრეშუმის მსგავსი, კოხტა, რომელიც საზღვარ-გარეთელ ქსოვილის მაგიერობასა სწევს, არშ. $18^1/_2$ კ.-დან.

# აუარებელი

შალეული და მაუდეული, სეზონის საქონელი, რომელიც სეზონის დროს არ გაყიდულა. ყველა ეს საოცრად იაფად გაიყიდება

## მხოლოდ პირველ ივლისამდე

## დამზადებული საცვალი

გაიყიდება ძალიან იაფად. ფერადი ჩულქები და წინდები, ხელით მოქსოვილი, მეტად მაგარი. ფერადი გარნიტურები, მანდილოსნის პერანგები, პერანგის ამხანაგები და ხალათები.

## მხოლოდ პირველ ივლისამდე

ფანჯრების ვიტრინებში გამოფენილია მრავალი ნიმუში სხვა და სხვა საქონლისა, რომლებზედაც აღნიშნულია

## დაკლებული ფასები

(2—ხალ.—2) პ. დოროჟნოვი.

სამანუფაქტურო საქონლის მოვაჭრეთა

## საყურადღებოდ

**ქალაქ ტფილისში, მანთაშოვის ქარვასლაში, გაიხსნა მსხვილად მოვაჭრე სამანუფაქტურო განყოფილება**

სავაჭრო სახლის

## ე. ი. და კ. ხალათოვებისა,

სადაც ყველა მანუფაქტურისტ-ვაჭარს შეუძლიან შეიძინოს კარგი პირობითა და იაფად ყოველ გვარი სამანუფაქტურო საქონელი. ხსენებულ ტფილისის განყოფილებაში დიდ-ძალი საქონელია თავმოყრილი.

**შეკვეთილი საქმე სრულდება ხელად და რიგზე.** (5—ხალ.—3)

## დაბა ახალ-სენაკში

**ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით**

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—11)

## დ. სამტრედიაში

კვირას ამა ივნისს 21-ს

**გაიმართება**

## დიდი სეირნობა და ლატარია

ქ.-ში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ. (2—.6—2)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. **ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—90)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

პირველი კლასის რესტორანი

## ბაღი „პალერმო"

(მიხეილის პროსპექტი N 117)

ყოველ დღე ნაშუადღევის 2 საათიდან 4 საათამდე, სალამოთი 8 საათიდან ნაშუალამევის 2 საათამდე. ბაღში დაუკრავს პირველად ტფილისში ქალთა საკონცერტო ორკესტრი ცნობილ ოდესის კაპელმეისტრის **ი. პ. ლუნაშკოს** ხელმძღვანელობით. (1—დ.—1)

## ყვირილა

**ქართველთა შორის წერ-კითხვის ადგილობრივი განყოფილებაში** აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მწევრად ჩაწერა და სამი მანეთის შემოტანა, უნდა მიმართოს წიგნთ-საცავ სამკითხველოში. (3—302—2)

**გამოვიდა პირველი, მეორე და მესამე ნომერი** სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის

## „მოსავალი"-სა

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს—3 მ., მდგომარე წლის პირველ იანვრამდე—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად—10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და დეპეშებისათვის: Тифлисъ, „Мосавали", Барятинслая, 5. (7—ნ.—5)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—51)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—107)

# ტფილისი, 21 ივნისი

სახ. სათათბიროს სესიის დასრულების შემდეგ, გარდა სათათბიროს მუშაობის შედეგის დახასიათებისა, პრესსა და საზოგადოება დააინტერესა საკითხმა იმის შესახებ, თუ რას უნდა მოელოდეს ქვეყანა მომავალ სესსიისაგან. მოსალოდნელია თუ არა იმ მთავარ პროექტების წამოყენება, რომლებითაც უნდა დაიწყოს რუსეთის წეს-წყობილების აღთქმული განახლება, თუ მომავალი სესსიაც ამ მხრით ისევ უნაყოფოდ ჩაივლის, როგორც აქამდე ჩაიარა არა ერთმა საპარლამენტო სესსიამ!

ასეთი საკითხი სრულებით უადგილო იქნებოდა, მესამე სათათბირო ოდნავ მაინც პარლამენტის მსგავსი დაწესებულება რომ ყოფილიყო და მისი ხელმძღვანელი პარტიები ოდნავად მაინც საკონსტიტუციო ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებს რომ წარმოადგენდნენ. მაშინ ადვილად შეიძლებოდა მომავალ მოღვაწეობის გათვალისწინება წარსულის მიხედვით და იმ პროგრამის მიხედვით, რო-

მელიც ხელმძღვანელ ფრაქციებს აქვთ. მაშინ გადაჭრით შეგვეძლო გვეთქვა, რომ მესამე სათათბირო უკვე შეუდგა განათლების საქმეს: მიიღო სინიდისის თავისუფლების შესახები კანონები და, მაშასადამე, მომავალ სესსიაში გადავა პოლიტიკურს კანონ-მდებლობაზე, რომლის პრინციპები 17 ოქტომბრის მანიფესტშია აღნიშნული და რის განხორციელებასაც კარგა ხანია მოელის ქვეყანა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მესამე სათათბირო, მისი ხელმძღვანელი უმრავლესობა მთავრობის დირექტივებს ემორჩილება და ემსახურება და არა საკუთარ პროგრამასა და ქვეყნის მოთხოვნილებას უგდებს ყურს. საქმეც ის არის, რომ თვით სინიდისის თავისუფლების კანონებიც რაღაც შემთხვევით იყო წამოყენებული და მიღებული; ამ აქტს სათათბიროსას როგორღაც კავშირი არა აქვს არც წასრულ მოღვაწეობასთან და არც მომავალთან.

სათათბიროს ხელმძღვანელმა უმრავლესობამ არც-კი იცის, რა უნდა გააკეთოს მომავალ სესსიაში და მთავრობას შესცქერის—რას გვიბრძანებთო. სესსიის დახურვის შემდეგ უმრავლესობის ლიდერები—გუჩკოვი, ბალაშოვი, შუბინსკი—ესტუმრნენ პრემიერ-მინისტრს და შეეკითხნენ, რა პროგრამა გაქვთ დასახული მომავალ სესსიისთვისაო. რას ჰფიქრობენ თვითონ ეს ლიდერები, რას მოითხოვენ ქვეყნის სახელით მთავრობისაგან, რა იმედებს ამყარებენ მომავალ მუშაობაზე—ამაებზე კრინტიც არ დაუძრავთ და, რასაკვირველია, არც სტოლიპინს დაუწყია გამოკითხვა. მან ავტორიტეტულად აღნუსხა მთავარი სამოქმედო პროგრამა, აღნიშნა ფარგალი, რომელსაც მომავალი სესსია არ უნდა გადასცდეს და ამით დასრულდა მოლაპარაკება პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელთა და მთავრობის მეთაურის შორის.

ის, რაც სტოლიპინმა უთხრა ხელმძღვანელ ფრაქციების მეთაურთ, უტყუარად მოწმობს, რომ მთავრობა არცა ჰფიქრობს, მთავარ საქმეს შეუდგეს; ყოველივე თავის ალაგას დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ დადგა ის „მშვიდობიანობა“, რომელიც თვითონ სტოლიპინმა აღიარა განახლების დაწყების პირობად. სტოლიპინის პროგრამით, მომავალ სესსიას წარედგინება კანონ-პროექტები საგუბერნიო და სამაზრო მმართველობათა რეფორმის შესახებ; როცა ამას მორჩება სათათბირო, განსახილველად წარედგინება ის კანონ-პროექტები, რომელნიც ერობას შეეხებიან და რომელთაც ახლა განსაკუთრებული საბჭო იხილავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

გარდა ამისა, სათათბიროს წარედგინება პროექტები ნავთსადგურების და გზების შესახებ, შეიძლება საუნივერსიტეტო ახალი წესდება და...ბევრი წვრილი კანონ-პროექტი, რომელთაც თურმე ისევ მოუყრიათ თავი პეტერბურგის საკანონმდებლო ბიუროკრატიულს ლაბარატორიებში. დაუმატეთ ამას, რომ ოქტომბერ—ნოემბერში სათათბირო უნდა შეუდგეს მომავალ წლის ბიუჯეტის განხილვას და თქვენ თვალწინ დასურათდება კვლავ ის ჩხირკედელაობა, რომელსაც სახელად ეწოდება რუსეთის სახალხო წარმომადგენლობის საკანონმდებლო მოღვაწეობა... ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სათათბიროს მიერ უკანასკნელ სხდომებზე მიღებული სარწმუნოებრივი კანონები განუხორციელებელი დარჩება, რადგან ისინი „სფერების“ სურვილის წინააღმდეგ იყვნენ წამოყენებულნი და რადგან არც ოქტომბრისტები შეიწუხებენ მათ დასაცველად თავს. ასეთივე ბედი ეწვევა ყველა იმ კანონ-პროექტს, რომელიც შეიძლება ისევ შემთხვევით წამოაყენოს ცენტრმა მომავალ სესსიაში და, ამ რიგად, დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ ახლავე, რომ მომავალი სესსიაც გათავდება, რუსეთში-კი ისევ სამხედრო და განსაკუთრებულის წესების წესწყობილება დარჩება... სანამ?

რუსეთის უბედურებაც ის არის, რომ ამ საკითხზე გადაჭრით პასუხის მიცემა არავის არ შეუძლიან: რუსის ხალხის უბედური ისტორია ჯერაც ლატარიასა ჰგავს, სადაც შემთხვევას უფრო მეტი შეუძლიან, ვიდრე პოლიტიკურ პარტიების შეგნებულსა და გეგმა შეთანხმებულს მოქმედებას.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივნისი

### სპარსეთი

**თავრიზი.** იმ დროს, როდესაც თავრიზელმა რევოლიუციონერებმა თავრიზის ოსმალეთის საკონსულოს შეაფარეს თავი, ურმიელი რევოლიუციონერები ადგილობრივ ოსმალეთის კონსულის წარმომადგენლის პეტრე ელაუსაგან სხვა და სხვა შევიწროებას განიცდიან. რევოლიუციონერები პეტრე ელაუს სახლს დაეცნენ. რევოლიუციონერებს დაუჭრეს და მოუკლეს 10 კაცი; დაიჭრა აგრეთვე ერთი ოსმალელი სალდათი. პეტრე ელაუმ დაიბარა 150 ქურთი და ოსმალელი სალდათი. ელაუს დაეძებს ინგლისის პოლიცია; მას სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა ჰბრალდება. ქურთებმა ქალაქს ცარცვა დაუწყეს. რევოლიუციონერები თავიანთ მხრივ ოსმალეთის საკონსულოს დაეცნენ. რუსეთის ვიცე-კონსულმა შეაჩერა სროლა და გადაარჩინა შეშინებული ელაუ. ელაუმ საქვეყნოდ დაუკოცნა ხელები ვიცე-კონსულს. ამ ამბებმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს ადგილობრივ მცხოვრებლებზე და სათარ-ხანს და ბაგირ-ხანს, რომელთაც ოსმალეთის საკონსულოს შეაფარეს თავი, ცუდის თვალით დაუწყეს ყურება. მაინ აღარავინ ეკარება. ქალაქში მათზე აღარავინ ლაპარაკობს. ქალაქსა და მიდამოებში სრული სიწყნარეა.

**ლონდონი.** იმის შესახებ, რომ რევოლიუციონერებმა რუს აფიცრების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს, „ტაიმს“ სწერს: რუს აფიცრების მოკვლას ცუდი შედეგი მოჰყვება. რევოლიუციონერები უნდა გაფრთხილობდნენ და ზომები მიიღონ, რომ ამისთანა რამ აა მოხდეს. თუ ვინმე უცხოელი მოჰკლეს, ამას ის მოჰყვება, რომ სახელმწიფოები დამნაშავეებს დასჯიან და სპარსეთში ჯარს შეიყვანენო.

**თეირანი.** ანგნიშნული რევოლიუციონერები კარდამში გადავიდნენ. კარდამი კერეჯიდან 15 ვერსის მანძილზეა. კარდამში რევოლიუციონერები სანგლებს აკეთებენ და ზარბაზნებს აწყობენ. მათ რეშტიდან მიეშველნენ რევოლიუციონერები.

**მაინის ფრანკფურტი.** „ფრანკფუტერ-ცაიტუნგი“ თეირანიდანატყობინებენ: მთელი ბაზარი ჯარს უჭირავს. ვაჭრებს გამოუცხადეს, თუ 20 ივნისს დილამდის დუქნებს არ გააღებთ, ძალით გაგაღებინებთო. მთავრობამ განცხადება გამოსცა. განცხადებაში ნათქვამია, შაჰმა სპარსეთს კონსტიტუცია მისცა, მაგრამ კონსტიტუციის მტრებმა მოიწვიეს უცხოელი ყაჩაღები,—ქართველები და კავკასიელი სომხები, რომელთაც აზრადა აქვთ სპარსეთში ანარქია ჩამოაგდონ. ეხლა ესენი თეირანისკენ მოდიან. მთავრობა ყოველსავე საშუალებას იხმარს, რომ ქალაქი და მცხოვრებნი დაიცვას და დასჯის იმათ, ვინც რევოლიუციონერებს რაიმე დახმარებას გაუწევს. ამიტომ სამხედრო წესებს ვაცხადებთ. ყოველსავე არეულობის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული. მთავრობა დასასრულ ამბობს, ვერ ვიკისრებ იმის პასუხის-მგებლობას, რაც ამის შემდეგ მოხდებაო.

### ოსმალეთი

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს სტამბოლიდან ატყობინებენ: სამხედრო სასამართლომ დაასრულა გამოძიება 31 მარტის არეულობის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, გადაყენებული სულთანი აბდულ-ჰამიდი სახელმწიფო სამართალში მისცეს.

**ათინა.** ოფიციალურად უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომ საბერძნეთი მობილიზაციას ახდენდეს და თავისუფალ მეომართა რაზმებს აგზავნიდეს. საბერძნეთი დაჰისი მთავრობა მშვიდობიანობის მომხრეაო.

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოს პარიზიდან ატყობინებენ: საფიქრებელია, რომ კრიტოსის შესახებ პასუხს მფარველი სახელმწიფონი ოსმალეთის მთავრობას მომავალ კვირაში ჩააბარებენ. მფარველი სახელმწიფონი თანახმანი არიან ამ საკითხში. ნოტაში საბერძნეთს ურჩევენ მშვიდობიანობა დაიცვას. ამას გარდა საბერძნეთს შეატყობინებენ, რომ სახელმწიფოები თავიანთ რაზმებს 11 ივლისს გაიყვანენო.

### საზღვარ-გარეთ

**ვენა.** „ნეიეს ვინერ-ტაგებლატი“ აცხადებს დამოუკიდებელთა პარტიის არა-ზომიერებით. გაზეთი სწერს, რომ ეს პარტია ყოველთვის ოპოზიციაში იყო და უარი განაცხადა, რომ ზოგიერთ უფლებების შეზღუდვით სამინისტრო შეადგინა. პარტია აშკარად ეძებს უნგრეთის გამოცალკევებას და ამით იძულებულ ხდის მეფეს ისეთი ზომები მიიღოს, რომელსაც ეს უკანასკნელი ყოველთვის გაურბოდაო.

**ლონდონი.** უცხოეთის პრესის კავშირმა რუს დეპუტატების პატივსაცემად ნადიმი გამართა. ლორდი მეფე ედუარდის და რუსის ხელმწიფის სადღეგრძელოები. ამის შემდეგ ეფრემოვმა სიტყვა წარმოსთქვა. ეფრემოვმა, სხვათა შორის, სთქვა, რომ პრესას ბევრის რამის გაკეთება შეუძლიან ხალხთა შეკავშირებისთვისო. მაქსუდოვმა სთქვა, რომ მაჰმადიანებმა საერთაშორისო კულტურა შეითვისეს და აღნიშნა, რომ ყველა ქვეყანაში პრესას დიდი დვაწლი მიუძღვის კონსტიტუციის დანერგვის საქმეშიო.

გარეშე საქმეთა მინისტრის გრეის საპარლამენტო მდივანმა ლაიელმა დეპუტატთა პალატაში კერძო სადილი გამართა. ამ სადილს დაესწრნენ ხომიაკოვი, გუჩკოვი, გრაფი ბობრინსკი, მილიუკოვი, შიდლოვსკი, გრაფი პოტოცკი და მაკლაკოვი. ინგლისელებიდან სადილს დაესწრნენ ლიბერალ პარტიის გამოჩენილი წევრები. სიტყვები არავის წარმოუთქვამს. დაპარაკობდნენ ეხლანდელ მდგომარეობაზე.

18 ივნისს სტუდენტმა ინდუსმა მოჰკლა პოლკოვნიკი ვილიამ კერზონ უაილი. უაილი ინდოეთის საქმეთა უწყებაში მსახურებდა. რამდენიმე ას ინდოელ სტუდენტის პატივსაცემად ინდოელების კავშირმა ნადიმი გამართა, რომელსაც პოლკოვნიკი უაილიც დაესწრო. პოლკოვნიკი მაშინ მოჰკლეს, როდესაც ნადიმიდან ბრუნდებოდა. დაიჭრა აგრეთვე ექიმი, რომელიც შანხაიდან ჩამოვიდა. სტუდენტი დააპატიმრეს, მას აღმოაჩნდა ორი გატენილი რევოლვერი და ხანჯალი.

**ვენა.** „კორესპონდენც-ბიუროს“ ბელგრადიდან ატყობინებენ: შეთქმულების და მეფისწულ გიორგის ურთიერთი დამოკიდებულება თან და თან მწვავდება. დამოკიდებულების გამწვავებას ხელი შეუწყო მაიორ ოკონოვიჩის სამსახურიდამ დათხოვნამ, რომელსაც მეფის წულ გიორგისთან ხშირი მიუვიდა შეთქმულები სცდილობენ როგორმე ბოლო მოუღონ ამ მდგომარეობას და მეფის წულ გიორგის საზღვარ გარედ წასვლას ურჩევენ. ხმა დადის, რომ სამხედრო მინისტრმა უკვე ზომები მიიღო იმ შემთხვევისთვის, თუ ამ განხეთქილებამ მოულოდნელი მიმდინარეობა მიიღო.

**პარიზი.** ტანჟერიდან ამბავი მოვიდა, რომ მულაი ჰაფიზმა მეკინესი შემუსრა: ეს ამბავი ჯერ არ დამტკიცებულა.

**ლონდონი.** პოლკოვნიკ კერზონის მკვლელი 22 წლის ინდუსთა ჩინგრადან, მისი გვარი მადარლალია. 19 ივნისს ჩვენებას ჩამოართმევს. მან განაცხადა; რომ შანხაიდან ჩამოსულ ექიმს ვესროლე, რადგან იგი თავს დამესხა და იძულებული ვიყავ ზომები მიმეღოო.

### რუსეთი

**ნოვოჩერკასკი.** სტანიცა აკსაისკის მიდამოებში ქვანახშირი აღმოაჩინეს.

**პოლტავა.** ოლქის სასამართლომ დაასრულა 1905 წელს მომხდარ ებრაელთა აწიოკების საქმე [illegible] სასამართლომ გადაუწყვიტა 5—[illegible] განწყობილება და 8—[illegible].

**უფა.** ყაზანის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე ეგრედ წოდებულ ბელაბევისსოციალ-დემოკრატულ ორგანიზაციისა. სასამართლომ ბრალდებულებს გადაუწყვიტა ციხე სხვა-და-სხვა ვადით.

**სოსნოვიცი.** 18 ივნისს, საღამოთი, სოფელ სტრჟემიცაში უცნობებმა მოჰკლეს ორი სტრაჟნიკი. მკვლელები მიიმალნენ.

**ოდესსა.** საერო განათლების მინისტრმა მოიწონა გრადონაჩალნიკის სავალდებულო დადგენილება, რომელიც შეეხება მოსწავლეთა სკოლის გარეშე თვალ-ყურის დევნებას. ამ სავალდებულო დადგენილებას ყველა სასწავლებელი უნდა დაემორჩილოს.

დიდმა წვიმამ და სეტყვამ 700 დესეტინა ნათესი გააფუჭა. ზარალი 20,000 მანეთს უდრის.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით დუბროვინი 3,000 მანეთით დააჯარიმეს. „რუსკ. ზნამია“-ს მე-134 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი: „ფასი რუსის სიცოცხლისა და ურიის სისხლისა“.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 92, გარდაიცვალა 44, მორჩა 44, საავადმყოფოში 615 კაცია.

## წერა-კითხვის საზოგადოების სკოლები

18 ივნისს წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მთელი სხდომა მოანდომა საზოგადოების სკოლების შესახებ რევიზორების მოხსენებათა განხილვას. მთავარმა გამგეობამ მოისმინა როგორც რევიზორების მოხსენებანი, ისე მოსაზრებანი სასკოლო სექციისა. მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა გომარეთისა და კავკავის სკოლების შესახებ პ. სურგულაძის მოხსენებამ.

გომარეთის სკოლა, რევიზორის სიტყვით, სიკვდილის პირზე მიუყვანია მასწავლებელს გ. უტურაშვილს. შენობა სკოლისა სულ უპატრონოდ ყოფილა და პირუტყვების სადგომს უფრო წარმოადგენს თურმე, ვიდრე სკოლას. სწავლის საქმე ისე ყოფილა დაყენებული, რომ რევიზორი პირდაპირ ამბობს, გომარეთში სკოლა სრულიად არ არსებობს ფაქტიურადაო. სულ ამ სოფელში 5000 სულამდე ქართველი სცხოვრობს. ამოდენა სოფელში მხოლოდ 25 ოჯახს მიუბარებია სკოლაში ბავშვი. მოსწავლეებს არა თუ სასწავლო

# მუნჯური მეთოდი

მაშამ სიტყვა, მაშამ კაცი,
მაშამ საქმე მისგან ქმნილი.
**შ. რუსთაველი.**

პროკურორის ამხანაგი რევაზ პავლეს ძე ქერქეტაძე, რომელიც არსებულ წეს-წყობილების დიდი მომხრე იყო და არავითარ „საწინააღმდეგო“ საქმეში არ ერეოდა, სრულიად მოულოდნელად შეიცვალა და ეროვნულ ჩაგვრაზე დაიწყო ჩივილი. ეს არაჩვეულებრივი ცვლილება რევაზში სავსებით გამომჟღავნდა მაშინ, როდესაც ადგილობრივ გაზეთებში მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ დაიწყეს წერა. რევაზმა ყურადღება მიაქცია სწავლა-აღზრდის საქმეს და დარწმუნდა, რომ მუნჯური მეთოდით სწავლება არა ბუნებრივი მოვლენა იყო. ამის შემდეგ რევაზი „მუნჯურისტების“ დაუძინებელ მტრად გადაიქცა. მართალია, ყველაფერში ზომიერების მომხრე რევაზი თავისს სწავლა-აღზრდაზე ახალ შეხედულებას სხვა და სხვა მოსაზრებით დიდხანს ჰმალავდა, მაგრამ ბოლოს თავი ველარ შეიკავა და საჯაროდაც აიმაღლა ხმა.

რევაზმა დაუწყო მტყუნება მოწინააღმდეგეებს. ყველგან, სადაც რევაზი იქნებოდა, ერთი ალიაქოთი ასტყდებოდა ხოლმე. იგი ერთნაირად ჰგმობდა „მუნჯურისტებს“ როგორც საკუთარ ოჯახში, ისე კლუბებში, რესტორანებში და ქუჩაში სეირნობის დროსაც. რევაზმა განიძრახა „მუნჯურისტების“ თავხედურ საქციელის პრესის საშუალებით გაბათილება, მაგრამ განზრახვა ვერ შეასრულა. ამის მიზეზად უდროობას ასახელებდა. „დრო რომ ხელს მიწყობდეს, ისეთს წერილს დავსტამბავდი, რომ „მუნჯურისტებს“ კოვზი ნაცარში ჩაჰვარდნოდათო, ხშირად იტყოდა რევაზი და გასამართლებელ საბუთებს ზეპირად მოიყვანდა ხოლმე.

წერის უნარი რევაზს მართლაც შესწევდა. ამ მხრივ რევაზმა ყურადღება ჯერ კიდევ ახალგაზდობაში მიიქცია. უმაღლესი სწავლით აღჭურვილი სამშობლოში რომ დაბრუნდა, რუსულ გაზეთებში დაიწყო თანამშრომლობა. თუმცა რევაზი პსევდონიმით სწერდა და თავისს ნამდვილ გვარს ჰმალავდა, მაგრამ ნაცნობებმა მაინც იცოდნენ, რომ ეს და ეს წერილი რევაზ ქერქეტაძეს ეკუთვნის და არა სხვას. რევაზმა გაზეთებში წერას მალე მიანება თავი და სამსახურში შევიდა. როგორც შრომის-მოყვარე და კარგი ყოფაქცევის კაცი, ღირსეულად დაწინაურდა. სამსახურში შესვლის შემდეგ რევაზი, როგორც მწერალი, აღარ არსებობდა, მაგრამ ზოგიერთებს კიდევ დიდხანს სჯეროდათ, რომ რევაზი მალულად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში.

რევაზმა 50 წელს გადააცილა, მაგრამ ორმოცისას ჰგავდა. თუმცა ბოლოს დროს კეფაზე თმა გაუთხელდა, აქა-იქ თმა-წვერში ჭალარაც შეეპარა, ანუ როგორც თვითონ ამბობდა, „მოხუცებულ ობის ნაკადულმა გადმოსჩქეფა“,—მაგრამ ეს სრულებით არ უკარგავდა რევაზს მიმზიდველობას. ახოვანის ძოყვანილობისა, ჯან-საღი და მჭევრ-მეტყველი რევაზი წანანდებულად კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე.

ერთხელ რევაზი მეტად აღელვებული დაბრუნდა სახლში. ეტყობოდა, ცუდი რამ შემთხვეოდა. თავს მთვრალივით აქნევდა. სახე გაჰფითრებოდა, მძიმედ ქშენავდა და მეტლეს უჯავრდებოდა. ზამთრის სუსხი იყო. თოვლ-ნარევი წვიმა ასხავდა. ტლაპოიან ქუჩებში გალხვალ თოვლის ქულები ეყარა. გორაკზე ტყვიის ფერი ბურუსი ჩამოწოლილიყო ცივი ქარი არხეინად დაქშოდა. ყველაფერი ქვითინებდა და ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

— გაჩერდი—ანიშნა რევაზმა მეეტლეს. ეზოს რომ მიუახლოვდა, ზანტად გადმოაბიჯა, მეეტლეს ფული მისცა და ოთახში დაურეკა. მაშინვე გაჩნდა მოსამსახურე და გაჯავრებულ ბატონს პალტო და ყელსახვევი ჩამოართვა. რევაზმა ენაუთქმელად შეაღო კარები. ნათელსა და მდიდრულად მორთულ ოთახში საამურად თბილოდა. ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა და ნაპერწკლებს ტკაცანი გაჰქონდათ. რევაზი ბუხრის მახლობლად სავარძელში ჩაჯდა, გაყინული თითები დაიზილა და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— Мама, папа пришелъ!— მოისმა რევაზის სამის წლის ქალის წკრიალა ხმა.

„ეჰ, ეჰ!—ამოიხვნეშა რევაზმა და თავი მაღლა აიღო:—დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო! მაგრამ მე კი... როგორ გინდა, რომ იცხოვრო... ყოველ ნაბიჯზე უთანხმოება, პიროვნების დამცირება... არა, ეს სადილი კი არა, საგანგებოდ შემზადებული საწამლავი იყო, დიახ საწამლავი!“

რევაზს საშინელი ბოღმა მოაწვა, გული დაუსუსტდა და სიბრაზის გამო თითზე კინაღამ იკბინა. რევაზის გულმოსულობა ბუნებრივიც იყო. მთელი 50 წლის განმავლობაში ასეთი შეურაცხყოფა რევაზს არავისგან ახსოვს. საქმე აი როგორ მოხდა. ხანგრძლივ სამსახურის აღსანიშნავად ქალაქმა სადილი გაუმართა ერთს წარჩინებულ მოხელეს. სადილს რევაზიც დაესწრო და იქ... „არა, შეუძლებელია ასეთი შეურაცხყოფის ატანა. თუ რევაზ ქერქეტაძე ვყოფილვარ, უჩვენებ იმ დამყაყებულს, როგორ უნდა პიროვნების დამცირება!“ თითქმის ხმა მაღლა სთქვა რევაზმა და თითები შეათამაშა.

ოთახში შემოვიდა რევაზის მეუღლე, ჯანსაღი და მიმზიდველი სახის ქალი, რომელსაც ფეხდა-ფეხ სამის წლის კეკე შემოჰყვა და ქმრის მახლობლად ჩამოჯდა.

— Папа, Coco мою куклу сломалъ!— შესჩივლა კეკემ მამას და მუხლებზე ხელები დაუფათურა.

რევაზმა კეკეს არ უპასუხა და ამოიხვნეშა. ნაწყენი კეკე შეტრიალდა და კუთხეში თამაშობა დაიწყო.

— რევაზ პავლოვიჩ!.. როგორ დაძმარებული გამოიყურები, ხომ არაფერი შეგემთხვა? — ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ცოლმა და ცნობისმოყვარე თვალები ქმარს მიაშტერა. რევაზმა, თითქო არაფერი გაუგონიაო, განზრახ ჩაახველა და ცხვირს დააცემინა.—შენ გეუბნებიან, ხომ არაფერი შეგემთხვა?—გაუმეორა ცოლმა.

— უნდა გულახდით გითხრა, რომ ქალები მეტის-მეტი ცნობის მოყვარენი ბრძანდებით... აბა, რაში გესაჭიროება, რომ გაიგო, შემემთხვა რამე თუ არა?—უკმაყოფილოდ უპასუხა რევაზმა და სათვალეები გაისწორა.

— ხომ არ გაგიჟდი, კაცო, განა ეს ცნობისმოყვარეობაა? არა, ჩემო რევაზ!.. ცოლსა და ქმარს შორის საიდუმლოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს... მე უნდა ვიცოდე, რა გაწუხებს!—წყენით სთქვა მარიამმა.

— ვსთქვათ, რომ ეგრეა!.. კარგი და პატიოსანი... მაგრამ ჯერ ეს მითხარი, რაიმე ხიფათი რომ შემემთხვეს, შეგიძლია თუნდ ბეწვის ოდენა დახმარება გამიწიო?—იკითხა ცოტათი გულ-მომთბარმა რევაზმა და სიგარას მოუკიდა.

— ადამიანო, ბარემ სთქვი, რაც გაწუხებს... თუ კი საჭიროება მოითხოვს, დიახაც, რომ დაგეხმარები... თავს დავსდებ შენი გულისათვის!

— ხა... ხა... ხა... რა გულუბრყვილოდ მსჯელობ, მარიამ... გამოცდილებით ვიცი, თუ თავს დასდებ, დახმარების მაგიერ ხელსაც შემიშლი!..—გესლიანის სიცილით გააწყვეტინა რევაზმა.

— ეგ ქალების დასამცირებელი ქამანდებია, რევაზ, და სხვა არაფერი!..

— დამშვიდდი, მარიამ, ნუ აჩქარდები!.. მართალი უნდა გითხრა, ვიხუმრე, თორემ რა უნდა მქონდეს დასამალავი? ეს მით უფრო, რომ მე მაღონებს არა საკუთარი პირადი ანგარიშები, არამედ საზოგადო, ასე ვსთქვათ, ეროვნული საქმეები... შენც დამეთანხმები, ჩემო კარგო, რომ ეხლა გამეფებულია ეროვნული ჩაგვრა, რომელიც პატარა და სუსტ ერებს გადაგვარებას უქადის და მე, როგორც ცოტად თუ ბევრად გავლენიანი და უმაღლეს სწავლით აღჭურვილი წევრი საზოგადოებისა, ზნეობრივად მოვალე ვარ სამშობლოს დასაცავად ხმა ავიმაღლო...

— კარგი, მაგრამ არ შეიძლება გამაგებინო, რაში გამოიხატება სამშობლოს დაცვა?—გააწყვეტინა მარიამმა, თუმცა ეჭვით მიჰხვდა, საითკენაც იყო მიმართული რევაზის სიტყვები.

— შენ ალბად იცნობ ადგილობრივ სახალხო დირექტორს? აი, ეს პატიოსანი გვამი მუნჯური მეთოდის დიდი დამცველია და ბავშვების გონების დასაბნელებლად სკოლებში ყოვლად უმსგავსო სახელმძღვანელო წიგნები შემოიღებინა!

— მერე?

— მერე და აი, სწორედ ამ ვაჟბატონთან მომიხდა დღეს შეტაკება... საქმე იმდენად გამწვავდა, რომ კინაღამ დუელში გამოვიწვიეთ ერთმანეთი...

— რას ამბობ, კაცო, გაგიჟებულხარ და მეტი არაფერი! აბა, სად პროკურორის თანაშემწე და სად სწავლა-აღზრდაზე მზრუნველობა... დაე, როგორც უნდათ, ისე ასწავლონ, ეგ ჩვენ რაში გვესაჭიროება!

— აკი ვთქვი, ხელს შემიშლისმეთქი! თუ არ მოგწონს განა, მათ აღმატებულების მოღვაწეობის სიდუხჭირე რომ ვამხილე?...

— მხილება თუ საჭირო იყო, სხვებსაც შეეძლოთ... ეგ შენ არ გეხებოდა... მამაკაცები ხშირად ქალებს გვისაყვედურებთ და თვითონ სხვის საქმეში ეჩხირებით!

— ადამიანო, დამერწმუნე, არ გაგეგება, რას მიედებ-მოედები! განა ეს სხვის საქმეში შეჩხირებაა? სრულებითაც არა! ჩვენ, ესე-იგი, ნასწავლი თაობა მოვალენი ვართ სწავლა-აღზრდის საქმეზე ვიზრუნოთ, მუნჯური მეთოდი კი... იცი, რას ნიშნავს ჩვენს სკოლებში მუნჯური მეთოდის გამეფება? ეს პოლიტიკა,

პროგრამა არ გაუვლიათ, არა სცოდნიათ ისიც, რაც წლის განმავლობაში უსწავლიათ. როგორც უმცროს, ისე უფროს განყოფილებაში ბავშები ანა-ბანას ძლივს არჩევენ თურმე და ერთი თვე რომ სკოლას მოშორდნენ, იმასაც დაივიწყებენ. რა თქმა უნდა, ასეთ სკოლას ხალხი კარგის თვალით ვერ შეჰხედავს და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ამ კუთხეში ხალხი გულ-აცრუებულია სწავლაზე. გომარეთში უმთავრესად მისდევენ შინაურ პირუტყვის მოვლა-მოშენებას. გომარეთლებს 1500-მდე ძროხა ჰყავთ და უცოდნელობისა გამო ამოდენა მაწველ ძროხის რძე ვერ გამოუყენებიათ. ყველის მკეთებელ გერმანელებს თითქმის სულ მუქთად მიაქვთ ამოდენა რძე. რევიზორის აზრით, შეიძლება გომარეთის სკოლასთან, თუ საქმე რიგიანად იქნება დაყენებული, მეურნეობის ამ დარგის სწავლებაც მოეწყოს.

მთავარმა გამგეობამ, გაიცნო რა საქმის ვითარება გომარეთის სკოლის შესახებ, დაადგინა, დაითხოვოს მასწავლებელი.

გაიცნო აგრეთვე გამგეობამ მოხსენება კავკავის სკოლის შესახებ. გამგეობამ საჭიროდ დაინახა, სარევიზიო მოხსენების პირთან ერთად, გაუგზავნოს კავკავის სკოლის კომიტეტს შემდეგი აზრიც:

1. სკოლის მე-1 და მე-4 განყოფილებაში არითმეტიკიდან არ გაუვლიათ მთლად ის მასალა, რასაც სკოლის პროგრამა მოითხოვს; 2. გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ უნდა ისწავლებოდეს იმ პროგრამით, რაც წ.-კით. საზ. სკოლასა აქვს; 3. ქართული ენის პროგრამაში შედის ლიტერატურული მასალა და ამ მასალის მიხედვით უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა; 4. დაკვირვებითი სწავლება ცალკე უნდა მოეწყოს და ყურადღება უნდა მიექცეს, სხვათა შორის, საბუნებისმეტყველო საგნებსაც; 5. ქართული გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს მე-2 და მე-3 განყოფილებაში და ეს სწავლება წინ უნდა უსწრობდეს რუსული ენის გრამატიკას; 6. სამღვთო სჯულის სწავლების დროსაც უნდა მიჰყვნენ არსებულს პროგრამას. საზოგადოდ სწავლის საქმე სკოლაში ცუდად ყოფილა დაყენებული. მასალა, საზოგადოდ, ყველა საგნიდან ცოტა გაუვლიათ და რაც უსწავლიათ, ისიც ცუდად იციან. სამშობლო აღწერის, დაწყებითი გეოგრაფიის ცნობების და ქართული ენის პროგრამები მეტის მეტად დამახინჯებულად არის შედგენილი. შედარებით 1 და 2 განყოფილებაში უკეთ ყოფილა საქმე დაყენებული. წერითი სავარჯიშოები მეტის-მეტად უსისტემოდ და შეუფერებლად სწარმოებს, ბავშვები სრულიად არ არიან ცოტაოდნად მაინც შეჩვეულნი დამოუკიდებელ წერას. ზოგმა მასწავლებელმა არ იცის თვალ-საჩინო სწავლებისათვის რა და რა ნივთები მოეპოება სკოლას და რაც აქვს, იმითაც არა სარგებლობს.

აუცილებლად საჭიროა, რომ მასწავლებლები არა კმაყოფილდებოდნენ მარტო სკოლაში სწავლებით, თავიანთ ხელმძღვანელობით ისინი სისტემატიურად უნდა უკითხავდნენ მოწაფეებს გარეშე წიგნებსაც. სექციამ არ იცის, რით ხელმძღვანელობდა პედაგოგიური საბჭო, როდესაც მეორე განყოფილებაში რუსული ენის სახელმძღვანელოდ ვახტეროვის წიგნი შეჰქონდა. სკოლაში უხეიხული ჟურნალი შემოუღიათ, რომლიდანაც არავის შეუძლიან გაიგოს. რამდენი გაკვეთილი გაუცდენია მოწაფეს. სკოლაში არ არის ისეთი ჟურნალი, საიდანაც გარკვევით სჩანდეს როგორ ესწრებიან მასწავლებლები გაკვეთილებს და ვის რა მიზეზით რამდენი გაკვეთილი გაუცდენია. სასკოლო სექციასთან ერთად მთავარ გამგეობას არ შეუძლიან, თუ არ სიმწუხარით აღნიშნოს, რომ მასწავლებლეს მიერ წარმოდგენილ პროგრამებში მე-4 და მე-2 განყოფილებაში თვალ საჩინო შეცდომები მოიპოვება მართლ წერის მხრით. დასასრულ გამგეობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ სწავლა-აღზრდის საქმე კავკავის სკოლაში ძლიერ ცუდად ყოფილა დაყენებული, რაც უეჭველად აიხსნება იმ გარემოებით, რომ პედაგოგიურ საბჭოს თავის დროზე თავის მოვალეობისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია და ვერ გამოუჩენია ის ენერგია და სიყვარული, ურომლისოდაც სკოლის წინმსვლელობა შეუძლებელია. მთავარმა გამგეობამ, თანახმად სექციის მოხსენებისა, დაადგინა, უფროს მასწავლებლის თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნას ბ-ნი ყაზბეგი.

ამავე სხდომაზე მთავარმა გამგეობამ განიხილა სარევიზიო მოხსენებანი ყალამშიისა, საგურამოსა, გიორგი წმინდისა, საგარეჯოსი, ბათუმის და სენაკის სკოლებისა. გამგეობამ მხედველობაში მიიღო რევიზორების შენიშვნები სკოლების მდგომარეობის შესახებ და დაადგინა, დაეგზავნოს მასწავლებელ-გამგეთ პირნი სარევიზიო მოხსენებისა და დაევალოთ მათ შემდეგში თავიდან აიცილონ ის ნაკლულევანებანი, რომელნიც მოხსენებებში აღნიშნეს რევიზორებმა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ნამესტნიკის ჩამოსვლა.** „ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ნამესტნიკი პეტერბურგიდან ტფილისს აგვისტოში დაბრუნდებაო.

✦ **რევიზიის შედეგი.** წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ დაასრულა საზოგადოების ქონებისა და წიგნის მაღაზია-საწყობის შემოწმება. სარევიზიო კომისიის გამორკვევით, 1909 წლის 15 მარტამდე წიგნის მაღაზიასა და წიგნის საწყობს დაჰკლებია 2282 მან. 7 კაპ.-ის წიგნი. ამავე დრომდე საზოგადოების მაღაზიიდან გაგზავნილა ფას-დადებით 2704 მან. 90 კაპ. წიგნები. გაგზავნილ წიგნების ფასი მიღებულად არა სჩანს. გარდა ამისა ჩაწერილია ნისიად გაცემული წიგნები სულ 1442 მან. 6 კაპ. დაწვრილებით მოხსენებას ამ ამბის შესახებ სარევიზიო კომისია ენკენისთვეში წარუდგენს საზოგადო კრებას.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს, 21 ივნისს, სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება ვილდენბრუხის 4 მოქმედებიანი პიესა „ქოჩრიანი ტოროლა“. ეს პიესა დანიშნული იყო წარმოსადგენად 14 ივნისისთვის, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზისა გამო გადაიდო დღეისათვის.

✦ **საგანგებო კრება.** ივლისის პირველ რიცხვებში მოხდება საგანგებო კრება წერა-კითხვის საზოგადოებისა, კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება ბიბლიოთეკასა და მუზეუმისათვის შესაფერ ბინის მოწყობის შესახებ.

✦ **სასინოდო კანტორის ახალი წევრი.** არქ. ამბროსის ადგილზე, სასინოდო კანტორის წევრად დანიშნეს არქ. ნაზარი (ლეჟავა).

✦ **ნამესტნიკის მეუღლის შეწირულება.** ნამესტნიკის მეუღლეს სომხეთა კათალიკოსს მათეოს მეორისთვის გაუგზავნია 1000 მანეთი ადანაში დაზარალებულ სომხების სასარგებლოდ.

✦ **ანგარიში.** სომეხ-გრიგორიანთა ტფილისის ეპარქიის უფროსს ეპისკ. სათუნიანცს კათალიკოსისთვის წარუდგენია ანგარიში ეპარქიის შესახებ. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, ეპარქიაში (ტფილ. და ქუთაის. გუბერნ.) ყოფილა სულ 82 სამრევლო-საეკლესიო სკოლა, 239 მასწავლებელი და 8,578 მოსწავლე. წლიური ბიუჯეტი ყოფილა 150,602 მან. ანგარიშით, სომხები სცხოვრობენ 14 ქალაქსა და 377 სოფელში. მათი საერთო რიცხვი უდრის 274,176 კაცს. ეკლესია ყოფილა 369, მღვდელი 366, მონასტერი 7.

✦ **სომხეთა სემინარიის შენობის კურთხევა.** გუშინ, 20 ივნისს, ტფ. სომხეთა ნერსესიან სემინარიის სამზრუნველო საბჭომ ჩაჰყარა საძირკველი სომხეთა ნერსესიან სემინარიის ახალ შენობისა ნადირიოვისეულ მამულში. როგორც აღვნიშნეთ, მა თაშევმა 250,000 მან. შესწირა სემინარიის ახალ შენობის ასაგებად. შენობისა და მის ეზოსთვის კარგი ადგილია არჩეული ეგრედ წოდებული ქირიანთ ხევში. თუმცა ჯერ მასალა არა აქვს მიტანილი შენობის ამგებ კომიტეტს და შენობის დაწყებამდე ჯერ კარგა ხანი გავა, მაგრამ კომიტეტმა ისარგებლა კათალიკოსის ტფილისში ყოფნით და დაგეგმულ ადგილის სამხრეთით სასაძირკვლო ადგილი გასჭრა და 20 ივნისს საკურთხევლად მიიწვია კათალიკოსი. 12 საათი იქნებოდა, რომ მოედანი აივსო ხალხით. ვაკემდე კარგა გზა გაუყვანიათ. მამულის შესავალში გაეკეთებინათ თაღი, რომელიც შემკობილი იყო ცოცხალი ყვავილით და ბაირაღებით. აქ კათალიკოსს სიტყვით მიეგება ალმშენებელ კომიტეტის თავმჯდომარე ხუნუნცი. აქედან ბალდახინის ქვეშ წაიყვანეს ფეხით კათალიკოსი შენობის ადგილამდე. გადაიხადეს პარაკლისი და აკურთხეს საძირკველი. პირველი ქვა ჩასდო კათალიკოსმა, შემდეგ ტფ. გუბერნატორმა, ვიცე-გუბერნატორმა, კომიტეტის წევრებმა და სხვებმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა სემინარიის მზრუნველმა პოპოვიანცმა; მეორე—სემინარიის ინსპექტორმა ტერ-მირაქიანმა. დასასრულ სიტყვით მიმართა ხალხს კათალიკოსმა. კათალიკოსი, გუბერნატორი და სხვა საპატიო პირნი მიიწვიეს საუზმეზე.

✦ **საისტორიო საზოგადოების კრება.** „სამშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში მოხდება ჩვეულებრივი კრება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“. რეფერატს წაიკითხავს სტუდენტი კაკაბაძე თემაზე „კრიტიკა 14—15 საუკუნის იმერეთის მეფეთა აწ მიღებულ (ვახუშტისეულ) გენეალოგიისა“.

✦ **სახელმწიფო გადასახადი.** უკვე გაწერეს ქალაქების უძრავ ქონებაზე სახელმწიფო გადასახადი. ტფილისზე შეწერილია 224,031 მ., ახალციხეზე 4,829 მ., გორზე 3995 მ., სიღნაღზე 2,419 მ., ახალქალაქზე 1,709 მ., თელავზე 1,682 მ., კოჯორზე 1,427 მ.

✦ **სავალდებულო დადგენილება.** „კავ.“-ში დაბეჭდილია რკინის გზის უფროსის გენ. ნეიგებაუერის სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც იმათ, ვისაც რკინის გზაზე უფასო ბილეთები აქვს, მგზავრობის დროს თან უნდა იქონიონ თავიანთ უფროსების მოწმობა და ფოტოგრაფიული სურათი: ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის 15 ივლისიდან.

## თავადი გ. ო. ამილახვარი

(წერილი ხაშურიდან)

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც შემთხვევით წავიკითხე გაზეთ „ზაკავკაზიე“-ში, რომ თ-დ გ. ამილახვრის მოქმედების შესახებ თავად-აზნაურთა კრებაზე შეკითხვა შეიტანა, თუ არა ვცდებით, ი. ჯაბადარმა და პასუხი გასცა ბ-მა მ. ვ. მაჩაბელმა, რომელიც არწმუნებდა თურმე კრებას არც ისეთი საქმე, როგორც ამბობენო. როგორც ამავე გაზეთიდან სჩანს, კრება დაკმაყოფილებულა ბ-ნ მაჩაბლის განმარტებით.

პირადად ბ-ნ მაჩაბლის ცნობა არა მაქვს და, მართალი გითხრათ, კარგის მეტი იმაზე სხვა არა გამიგონია-რა. არც ის ვიცი, რა საბუთებით იყო აღჭურვილი, როცა აბათილებდა თავის პასუხით ბ-ნ ჯაბადრის შეკითხვას, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ვაუწყო ბ-ნ მაჩაბელს, რომ მან დიდ შეცდომაში შეიყვანა კრება, როცა საქმის უცოდინარობით თუ სხვა მოსაზრებით, კრებას მიაწოდა ზემოდ აღნიშნული ცნობა.

ამ წერილის მიზანი ის არის, რომ, ვისაც ჯერ არს, ვაუწყო საქმის ნამდვილი ვითარება. ეს მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია, რომ მოქმედება თ-დ ამილახვრისა და იმის აგენტებისა უკვე ზომას გადასულია და ქს, ვისაც მოთმინების უნარი დაკარგული არა აქვს, თვით თ-დ ამილახვრისა და მის მსგავსებისათვის არის მავნებელი, და, თუ დროზე ხელი შეუწყო ამილახვრის მიერ დაწიოკებულ ხალხს, მეტად სამწუხარო ნაყოფს გამოიღებს.

თავ. გ. ამილახვარი ეგრედ წოდებულ სააბაშიოში დიდ მემამულედ ითვლება. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს გლეხებმა, როგორც სხვაგან, უარი განაცხადეს გადასახადებზე და რამდენიმე წლის განმავლობაში თ-დ ამილახვარს ან სულ არაფერი მიუდია თავის მამულიდან და ან თუ მიიღო, სათქმელადაც არა ღირს. საკუთრების ისეთ მოტრფიალისათვის, როგორიც თავ. ამილახვარია, ასეთი ურჩობა გლეხებისა უთუოდ გადამეტებულ გულის წყრომას გამოიწვევდა, მაგრამ გულის წყრომასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს, და თავ. ამილახვარი რომ მეტად გადასცდა ამ საზღვარს, [illegible] დაინახავს.

თ-დი ამილახვარი [illegible] [illegible] ფერად [illegible] რჯვენა ხელობას სწვევდა უანხედი, რომელსაც მასწავლებლობს სასტიკ მებატონის მოურავობაზე გაუცვლია. გადასახადების აკრება შებატონისაგან ჩვეულებრივად პოლიციის დახმარებით ხდება, მაგრამ თავ. ამილახვარმა საჭიროდ არა სცნო ამ საშუალებისათვის მიემართა და თავის საკუთარ საშუალებით ჰქმნიდა სამართალსა და განკითხვას. ვთქვათ, გლეხს ა.—ს მართებს თ-დ ამილახვრისა რამე. მას იბარებს თ-დი ამილახვარი და უცხადებს განსაზღვრულ ვადაში გადაიხადოს ვალი. თუ გლეხმა ვადა ითხოვა ან ამისთანა რამე განაცხადა, თ-დ ამილახვრის აგენტები მზად არიან თვალის დახამხამებაზე საზე და ტანი დაულილაონ. ამნაირად გალახულთა რიცხვი ს. ქვიშხეთსა და მის მიდამოებში მრავალია, და თუ ბ-ნ მ. მაჩაბელი ინდომებს, რამდენსაც ინებებს, დავუსახელებ.

საქმე გალახვით არა თავდებოდა: ურჩ გლეხს კვლავ მცირე ვადას უდებდნენ და თუ არ შეიტანდა გადასახადს, ვაი იმისი ბრალი! ამასთან გალახულს ურჩევდნენ, თუ შეურაცხყოფილად მიგაჩნია თავი, პოლიციასთან გვიჩივლე და დაე იმან გაგვასამართლოს—გვქონდა თუ არა უფლება შენი გალახვისათ. შეურაცხყოფილი გლეხი ჩივილის მაგივრად, რასაკვირველია, ვალის გადასახად საშუალების შოძებნას სცდილობდა.

ჩვენ მხარეში გლეხი ეხლა მეტად შევიწროვებულია. რკინის გზაზე მუშაობა შესწყდა და ამ მხრით მოსამო საშუალების მოპოვების გზა. უკანასკნელი 3-4 წლის მოუსავლობამ მთლად დასცა იგი ეკონომიურად და თუ დაუმატებთ იმასაც რომ რეაქციასთან ერთად გლეხს თავზე დაატყდა ახალი გადასახადი სტრაჟნიკების და მთავრობის მამასახლისის შესანახავად, მაშინ ადვილად წარმოიდგენს ყველა, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა აჭაური გლეხი, როცა მას თ-დი ამილახვარი ასეთ სასტიკ პატიოხოვნილებას უდგენდა. უმრავლესობამ ვერ შესძლო გადასახადის მიტანა და ამათთვის თ-მა ამილახვარმა მიმართა სხვა საშუალებას. თუ გლეხს ფული არ მოეპოვებოდა, მაშინ რაც-ხა ებადა, ამილახვარს მიჰქონდა. ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა ვალის გასასტუმრებლად თავ. ამილახვარს მიჰყავდა გლეხის მარჩენალი უღელი ხარი, ამილახვრის მიერ დასახელებულ კაცებისაგან შესაფასებლად. აქაც მზადა ვართ დავასახელოთ ის გლეხები, რომელნიც

---

ასე ვსთქვათ, ხალხის გადასაგვარებლად გამოგონილი საშუალებაა. გადაგვარებას კი, თუ არ ვებრძოლეთ, თავიდან ვერ ავიშორებთ... ამისი აუარებელი მაგალითია ძველსა და ახალს ისტორიაში, გესმის...

— დაანებე, რევაზ, მაგნაირ ლაპარაკს თავი, თორემ ინანებ: ჩამოგაქვეითებენ, სამსახურიდანაც დაგითხოვენ.

— ვერავითარი დაქვეითება ვერ შემაშინებს... უმაღლესს ჯილდოსაც რომ მოველოდე, სიმართლეს მაინც არ ვუღალატებ... ეხლა გადავსწყვიტე მუნჯური მეთოდის საწინააღმდეგო წერილი დავსტამბო. მაშინ დაინახავ, რაც ბიჭები ბრძანდებიან, ბ-ნი დირექტორი და იმისი ამქრები!

—სულ გავკიცხავ მაგ ვერაგებს, მაგათ!.. დაიღრიალა რევაზმა და ჰაერში მუშტი გააქნია.

— დასტამბე, რაც გენებოს, მხოლოდ, გახსოვდეს, წერილს სახელსა და გვარს ნუ მოაწერ, თორემ...

— მაშ, როგორ, პირბადე ავიფარო? და მერე მე, გამოცდილ იურისტს ეს შემშვენის? არა, მარიამ, რევაზ ქერქეტაძე არას დროს არ დამცირდება იმდენად, რომ მოწინააღმდეგეს ნიღაბ-აფარებული გამოელაპარაკოს... დაე, იცოდეს ყველამ, ვის ვებრძვი... ნურას უკაცრავად, ქალბატონო, წერილში თქვენ, ესე იგი, ქართველ დედებსაც გამოგაშზევებთ! ეს მე კარგა ხანია, განზრახული მაქვს... თქვენ დედები კი არა, ლაჩრები ხართ, დიახ ლაჩრები!—რევაზი წამოდგა და თითების მტვრევა დაიწყო.

— ღმერთო, ჩემო, გაგიჟდა სწორედ ადამიანი!.. კაცო, შენ თუ ვინმესთან უკმაყოფილება გაქვს, რა მოსატანია აქ ქართველი დედები, რა დავაშავეთ?

— რა დავაშავეთ! ხა... ხა... ხა... თითქო, თითქო არ იციან, რაც დააშავეს! თვითონ შენ, ქალბატონო, პირში გეტყვი, რომ შენც ბევრი დააშავე! აბა, გულახდით სთქვი, ვისი ბრალია, რომ ჩვენს ბავშებს ქართული არ ეხერხებათ და რუსულად ტიტინებენ. აი, მაგალითად, კეკემ აგერ მეოთხეში გადაიბიჯა და ქართული არც კი იცის! აბა, ვისი ბრალია?

— მართალი თუ გნებავს, სწორედ შენის წყალობითაა, რომ ჩვენი ბავშვები რუსულად ტიტინებენ! შენ არ მირჩევდი, ბავშებს ჯერ რუსული შევასწავლოთ და ქართულს შემდეგშიაც მოასწრებენო?

— ეს არის შენი მართალი?.. მე თუ გავგიჟდი და სისულელე ჩავიდინე, შენ რად დაიჯერე, რატომ წინააღმდეგი არ გამიხდი? შენი წყალობით არ იყო, რომ სოსო მასწავლებელ დუდკინს მივაბარე, რომელიც მუნჯურ მეთოდის დამცველია და ქართული ეჯავრება?

მარიამმა პასუხი არ გასცა, ოთახიდან ბუზღუნით გავიდა. რევაზი ნაბენივით დაიღრიჯა და მღვრიე თვალები ცოლს გააყოლა. დიდ ხანს იჯდა დაფიქრებული. მერე თავისთვის სთქვა: „არა, მართალი რომ სთქვას კაცმა, თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე! ეს ჩემი სტატიისთვის უებარი მასალა იქნება! რევაზმა ხელი ჩაიქნია და მელანში კალამი ამოაწო. „მუნჯური მეთოდი სახალხო სკოლებში და იმისი შედეგები“ მსხვილის ასოებით დასწერა რევაზმა და თავი მარცხენა მკლავს ჩამოაყრდნო. „საუცხოვო სათაურია!“ კმაყოფილად გაიღიმა ცოტა სიჩუმის შემდეგ და სათვალეები გაისწორა. „ჩვენს მრავალ-ტანჯულს და არა ერთხელ აოხრებულს სამშობლოს, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ურიცხვ მტერთა წინაშე ქედს არ იხრიდა და ყოველ-ნაირ გაჭირვებას მიჯაჭვულ ამირანივით ითმენდა, ამ ბოლო დროს ახალი უბედურება დაატყდა თავს. მე მოგახსენებთ მუნჯური მეთოდის შესახებ„—დასწერა რევაზმა და შეჩერდა. „არა, ასე თუ დავიწყე, წერილი გავლენიან კაცების ყურადღებას ვერ მიიქცევს, ასე ვსთქვათ, აგიტაციურის ხასიათისა იქნება. საჭიროა მეტი სიდინჯე, გამჭრიახობა, ესე იგი, ფაქტების აღნუსხვა, დიახ, რაც შეიძლება მეტი ფაქტები და არა ცარიელი სიტყვები!“

რევაზმა დაწერილი სტრიქონები ჩაიკითხა და ამოიხვნეშა. ცოტა შესვენების შემდეგ კვლავ განაგრძო წერა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, სიტყვები არ ემორჩილებოდა, წინადადებები რეზინის ბურთებივით გორაობდნენ, ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ და მოფიქრებისათანავე შეუმჩნევლად ჰქრებოდნენ. „არა, ასეთ აღელვების დროს წერა შეუძლებელია... საჭიროა სხვა დროისათვის გადავდო!“ — ჩაილაპარაკა თავბრუდახვეულმა რევაზმა, კალმისტარი დასდო და საზურგეს მიეყრდნო.

ტანში საშინელი სისუსტე იგრძნო. თავში, თითქო ადუღებული ტყვია დაასხესო. რაღაცამ გაჰკრა და ფეხის ფრჩხილებამდე გაურბინა. ოთახი ტყვიის ფერი ბურუსით აივსო. თვალის დახამხამებაზე საიდგანღაც უთვალავი საპნის ბუშტის მგზავსი უჯრები გაჩნდნენ და ბურუსში აირივნენ. ერთს უფრო მოზრდილ უჯრიდან მოჩვენებასავით თავი ამოჰყო სახალხო სკოლის დირექტორმა, სალოკი თითი გააქნია, დამცინავი თვალები რევაზს მიაშტერა და ხელოვნურ კბილების მთელი მწკრივი გამოაჩინა. „იცინეთ, იცინეთ, ბ-ნო დირექტორო, მხოლოდ ნუ დაივიწყებთ, რომ რევაზ ქერქეტაძე შეურაცხყოფას არ მოითმენს“. აკანკალებულის ხმით ჩაილაპარაკა რევაზმა, დირექტორის ულაზათო სახეს ზიზღით შეხედა და მღელვარების დასაფარავად თვალებზე ხელები მიიფარა.

— ბატონო, თქვენთან წერილია!—მოესმა რავაზს მოსამსახურის ტლანქი ხმა.

— რა დროს წერილია!—გაიფიქრა რევაზმა და შეტრიალდა.

— ინებეთ!—მოკრძალებით სთქვა მოსამსახურემ.

რევაზმა წერილი ზანტად ჩამოართვა, სათვალეები გაისწორა და კითხვას შეუდგა. „დიდად პატივცემულო, რევაზ პავლესძევ!—ამოიკითხა რევაზმა. — უმორჩილესად გთხოვთ საღამოზე ჩემსას გადმობრძანდეთ. მოგველის პრეფერანსი და შემდეგ გემრიელი ვახშამი. თქვენი გალკინი“.

გალკინის მოგონებაზე რევაზს წარმოუდგა ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურე, ბატკანივით ჩასუქებული მამა-კაცი, ფართო ნესტოებით და მუდამ მომღიმარი სახით. რევაზს გაგიჟებით მოსწონდა მუდამ მხიარული და სტუმართ მოყვარე გალკინი. უყვარდა მასთან ბაასი და დროს გატარება. „რა კარგია ვინც მარტო ბანქო-ვახშმებზე ფიქრობს და სხვა საქმეები არ აწუხებს“... გაიფიქრა რევაზმა და გადასწყვიტა გალკინს სწვეოდა.

საღამოზედ კიდევაც დაურეკა. ქლერეფანში თვითონ გალკინი გამოეგება და კარები გაუღო.

— ა... ა... ა... რევაზ პავლოვიჩ, საღამომშვიდობისა! რა რიგ გმადლობ, რომ მოხვედით... ჩვენ კი, ცოტა არ იყოს, ეჭვები შეგვეპარა, რომ...—მხიარულად ამბობდა გალკინი და პალტოს გახდაში შველოდა.

— ნუ სწუხდები, ბ-ნო გალკინ, თვითონაც გავიხდი... რაც შეეხება მოსვლას, ხათრი ვეღარ გაგიტეხეთ, თორემ... ხუმრობა როდია: ქარ-ბუქი, თოვლ-ჭყაპი! მერე არ იკითხავთ როგორია ბნელა?..

— ე... ე... ე... რევაზ პავლოვიჩ! ნუ მასხარაობთ... თქვენისთანა ვაჟკაცი და აბა, რის ქარ-ბუქ თოვლ-ჭყაპიაო!.. ხა... ხა... ხა!..—ჩაიხითხითა გალკინმა და რევაზს ბეჭებზე ხელი დაჰკრა.

რევაზი პალტოდან გამოძვრა და ცხვირს დააცემინა.

— ბატონებო, რევაზ პავლოვიჩიც მობრძანდა... აბა, სათამაშო მაგიდა და ცარცი მოვამზადოთ!— დაიძახა გალკინმა და დარბაზის კარები შეაღო. გალკინს რევაზიც შეჰყვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრებმა ლაპარაკი შესწყვიტეს და რევაზს შეჰხედეს.

— საღამო მშვიდობისა!..—საერთოდ მიესალმა ყველას რევაზი და სავარძელში ჩაჯდა.

— რევაზ პავლოვიჩ, თქვენ ვერ შენიშნეთ მათი აღმატებულება!— წაჩურჩულა რევაზს გალკინმა და ხელი წაჰკრა.

რევაზმა მიიხედ-მოიხედა გარშემო და გაფითრდა: დარბაზის ერთს კუთხეში, ფანჯრის მახლობლად, სახალხო სკოლების დირექტორი იდგა. ცალი ფეხი წინ გადმოედგა, ხელები მსუქან მკერდზე ჩამოეწყო და სათვალეების ქვეშიდან რევაზს უცქეროდა.

— ა... ა... ა; ეს რევაზ პავლოვიჩი ბრძანდება..—დამცინავის ღიმილით სთქვა დირექტორმა და მკერდზე ვარსკვლავი გაისწორა.— უკაცრავად, ბ-ნო რევაზ, ამდენხანს ვერ შეგნიშნეთ... ნება მიბოძეთ ღირსეულად მოგესალმოთ: საღამომშვიდობისა ცრუ-პატრიოტო! ხა... ხა... ხა!.. ბ-ნებო, როგორ მოგწონსთ!.. ეს ვაჟბატონი ცრუ-პატრიოტი ბრძანდება, ესე იგი, მუნჯური მეთოდის ყალბი მოწინააღმდეგე!..

რევაზი უგრძნობლად წამოიჭრა, ცალი ხელი ჯიბისაკენ წაიღო და წელში გასწორდა

— როგორ!.. მე... მე ვარ ცრუ-პატრიოტი?..—აკანკალებულის ხმით დაიყვირა რევაზმა და დირექტორისაკენ ნაბიჯი გადადგა.

— დიახ, თქვენ, სწორედ თქვენა ბრძანდებით ცრუ-პატრიოტი!.. მე შემიძლიან საბუთებით ხელში...

— არა, ეს მეტის-მეტია.... ვერ მოვითმენ!..—დაიღრიალა რევაზმა და მარჯვენა ხელი ჰაერში შეათამაშა.

დაიქუხა რევოლვერმა. ყველანი კითხვით ნიშნად გადაიქცნენ.

— მომკლეს!—გაისმა დირექტორის სუსტი ამოძახილი და გულგანგმირული მოხუცი მოჭრილ ხესავით გაიშხლართა იატაკზე.

— ღირსი იყო სიკვდილისა!— შესძახა რევაზმა და... გამოეღვიძა. ოთახში ჩამობნელებულიყო. კედელზე ვეებერთელა საათი ზარმაცად ურაკუნებდა. ქუჩაში ცივი ქარი გაჰკიოდა.

— რევაზ პავლოვიჩ, ჩაი მიირთვით!—მოისმა მარიამის ხმა.

— ესეც მუნჯური მეთოდი! ხელის ჩაქნევით სთქვა რევაზმა, მთქნარებით შევიდა სასადილო ოთახში, მარიამს არ შეხედა და აორთქლებულ სამოვარს მიუჯდა.

**იასონ წუწუნავა.**

ხარების წართმევით ხელ-მოჭრილნი დარჩნენ. თუ ბ-ნ მაჩაბელს ასეთი მოქმედება თ-დ ამილახვარისა არაფრად მიაჩნია, მაშინ აღარაფერი გვეთქმის.

დავანებოთ ამას თავი და სხვა მაგალითი მივიყვანოთ თავ. ამილახვრის მოქმედებისა. მისი აგენტები დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ეძებდნენ 2-3 წლის განმავლობაში გლეხთაგან აშენებულ კვითკირის სახლებს. თუ აღმოჩნდებოდა ასეთი სახლები, მაშინ ისინი (ამილ. აგენტები) ადარებდნენ მათ მიერ მოტანილ ქვიშის ნიმუშს იმას, რომლითაც სახლი იყო აშენებული და როცა აგენტები გადასწყვეტდნენ, რომ ქვიშა ერთნაირია სახლის პატრონს უცხადებდნენ, უნდა გადაიხადო ამდენი და აშდენი ქვიშის ფასი, რადგან ეს ქვიშა თ-დ ამილახვრის საწულის პირიდგან არის გამოტანილიო. ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ რამდენიმე გლეხიც, რომელთაც ეს გადასახადი დაედოთ და რომელთაც უნაკლულოდ შეიტანეს ფული. ეს რომ არ იკმარეს აგენტებმა, ქვიშის გადასახადი იმათაც-კი დაადეს, რომელნიც ქვიშას უზიდავდნენ ამა თუ იმ სახლის აშშენებელს.

აქ მოყვანილი მაგალითები, ჩვენის აზრით, საკმაო, ნათელსა ჰფენს თ-დ ამილახვრის სასტიკ მოქმედებას საბაშიოში და თუ ან ბ-ნი მაჩაბელი, ან თვით ამილახვარი მეტ საბუთს მოითხოვენ, ჩვენ მზადა ვართ გაზეთის საშუალებით გავცე პასუხი.

ამ საქმის გამორკვევას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ბევრი თავად-აზნაური აწიოკდა გლეხთაგან. მაშინ აწიოკებულებმა განგაში ასტეხეს —სოფელში აღარ გვედგომებაო, სოფელი გვდევნისო და სხვა. ჩვენ გვჯერა, რომ აწიოკებულთა შორის ბევრი უდანაშაულოდ და უსამართლოდ დაისაჯა, მაგრამ განმეორება ისეთ მოქმედებისა, რომელმაც გლეხთა შურისძიება გამოიწვია მოძრაობის დროს, ჩვენ დიდ შეცდომად და დანაშაულობად მიგვაჩნია და ამიტომ საჭიროდ ვცანით გამოგვემზეურებინა მოქმედება თ-დ ამილახვრისა, რომელსაც, როგორც თითონ ამბობს, თურმე, იმნაირივე შურისძიება ამოქმბდებს, როგორიც განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ამოქმედებდა გლეხებს. თუ გლეხთა სტიქიური მოძრაობა გასაგები იყო, ისეთ შეგნებულ კაცის მოქმედება, როგორიც თ-დი ამილახვარია, გაუგებარი და ამასთან ყოვლად შეუწყნარებელია.

**ზემოური.**

P. S. ეს წერილი რედაქციაში გამოგზავნილი არა მქონდა, რომ 18 ივნისს ქვიშხეთში გორის მაზრის უფროსმა კომლზე კაცი დაიბარა ქვიშხეთის საზოგადოებისა და დაწვრილებით გამოჰკითხა, ვის რა და როგორ გადაახდევინა თ-მა ამილახვარმა. შეკრებილმა ხალხმა, რა-კი გულშემატკივრობა შეამჩნია მაზრის უფროს'ს, ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ურიდობაზე ნათქვამი მაზრის უფროსმა დაწვრილებით აღნიშნა და წავიდა. რა მოჰყვება ამ გამოძიებას, არ ვიცით და ეს-კი აშკარა გახდა ყველასათვის, რომ თ-დი ამილახვარი მაზრის უფროსის თანხმობით არა მოქმედებდა, თუმცა ადგილობრივი ბოქაული ხელსაც არ ანძრევდა, რომ თვითნება მემამულისათვის უკანონო მოქმედება აეკრძალა. თუ ბ-ნი მაზრის უფროსი ასეთი დიდი მოყვარულია სიმართლისა, გამოირკვიოს ისიც, რად არ უშლიდა ადგილობრივი ბოქაული ამილახვარს ამ საქციელს, რომელსაც ხალხის დაწიოკება ჰქვია? **ზ.**

# სპარსეთის ამბები

**რუსის ჯარი თეირანს წავა.**

რუსეთისა და ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროებს შორის გაძლიერებული მიწერ-მოწერაა გამართული ტელეგრაფით სპარსეთის საქმეების თაობაზე. რუსული გაზეთები იუწყებიან, რომ თუ რევოლიუციონერები არ დაიშლიან გალაშქრებას, თეირანში უთუოდ გაიგზავნება რუსის ჯარი ზარბაზნებითო. გენ. სნარსკის ამ შემთხვევისათვის განსაკუთრებული ინსტრუქცია გაეგზავნაო. (ზ.)

**მოლაპარაკება სარდალ ასადთან.**

რუსეთისა და ინგლისის კონსულების მოლაპარაკებამ ბახტიარების მეთაურთან სარდალ ასადთან უნაყოფოდ ჩაიარა. კონსულები უკვე დაბრუნდნენ ქალ. კუმიდან ისპაჰანში. დავას შაჰსა და რევოლიუციონერებს შორის ალბად იარაღი გადასწყვეტს. სარდალ ასადმა შემდეგი მოითხოვა:

1. უცხოეთის ჯარი დაუყოვნებლივ გავიდეს სპარსეთიდან.

2. სამსახურიდან უნდა დაითხოვონ და სპარსეთიდან განდევნონ პოლკოვნიკი ლიახოვი და ყველა რუსის აფიცერი, რომლებიც შაჰის ყაზახთა ბრიგადაში მსახურებენ.

3. მუდმივი ჯარი უნდა დაწესდეს განსაკუთრებით ბახტიარებისაგან.

ამას გარდა სარდალ ასადმა წარუდგინა კონსულებს იმ პირთა სია, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა განიდევნენ სპარსეთიდან; მათ შორის სწერია გარეშე საქმეთა მინისტრი საად-უდ-დოულე, რომელსაც სარდალი სთვლის „მოღალატედ და სპარსეთის ეროვნულ გრძნობის შეურაცხმყოფელად". სარდლის აზრით, რუსის ჯარის შესვლა სპარსეთში საად-უდ-დოვლეს ბრალი იყო.

კონსულებმა შეუწყნარებლად სცნეს სარდალ-ასადის პირობები და მოლაპარაკება შესწყვიტეს.

კონსულებს გარდა სარდალ-ასადთან მოლაპარაკება გამართა გარეშე საქმეთა მინისტრმა საად-უდ-დოულემაც. მინისტრი თითონ მივიდა თეირანის ტელეგრაფის სადგურზე და ტელეგრაფით ლაპარაკი დაუწყო სარდალ-ასადს, რომელიც ქალ. ჯუმში იმყოფება. მინისტრი არწმუნებდა სარდალს, თეირანზე გალაშქრება შეაჩერეთ, სამინისტრო კონსტიტუციის გულწრფელი მომხრეა და რევოლიუციონერებმა სწორედ ვერ დააფასეს სამინისტროს მოქმედებაო.

სარდალ-ასადმა გაჯავრებით უპასუხა: „თეირანზე მოვდივარ, ხვალ გამოვალო", და ტელეგრაფის აპარატს მოშორდა.

სარდალ-ასადი ბახტიარების ხანის სამსამუს-სალთანეს უმცროსი ძმაა. იგი ბოლოს დრომდე ცხოვრებდა პარიზში, სადაც კარგი განათლება მიიღო და უცხო ენები შეისწავლა. იგი დიდ მონაწილეობას იღებდა სპარსეთის ლიტერატურაში: მან სხვათა შორის ფრანგულიდან გადათარგმნა სპარსულ ენაზე ა. დიუმას ცნობილი რომანი: „მარგარიტა გოტიე" და სხვა.

**შაჰის ბინის გამაგრება.**

შაჰის ეხლანდელ ბინას სულთანაბადს გაჩქარებით ამაგრებენ. მის გარშემო სიმაღლეებზე სდგამენ ზარბაზნებს.

**რუსეთის ქვეშევრდომების გაფრთხილება.**

რუსეთის საელჩოს რწმუნებულმა თეირანში გამოუცხადა რუსეთის ქვეშევრდომებს: ყველამ უთუოდ რუსეთის ეროვნული ბაირაღები გაშალეთ თქვენს სადგომებზეო.

**აჯანყება პროვინციებში.**

„რ. სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან 15 ივნისის თარიღით: „მეშედში აჯანყება ჯერ არ გათავებულა. იქ ფიცხელი სროლა და შეტაკება მომხდარა ფოსტას ახლო. ბევრია მოკლული. გუბერნატორი რუხნუდ-დოულე სამსახურიდან გადადგა და რევოლიუციონერების შიშით რუსის საკონსულოში ჩაჯდა ბესტში. მას დამცველებად მიუჩინეს რუსის ყაზახები და ინგლისელი სიპაები (ინდოელი ჯარის-კაცები).

როგორც იუწყებიან, ქირმან-შაჰშიაც იფეთქა აჯანყებამ.

15 ივნისს რუსეთის საელჩოს რწმუნებულებმა საბლინმა ცირკულიარული დეპეშა გაუგზავნა რუსის ყველა კონსულს სპარსეთში, რომ მათ რამწამს სადმე აჯანყება დაიწყება, მაშინვე აცნობონ ხოლმე როგორც თეირანში რუსეთის საელჩოს, ისე პეტერბურგში—რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს.

ქალ. არდებილს ახლო რევოლიუციონერებს შეტაკება მოუვიდათ შაჰის მომხრე შახსევენებთან. შახსევენები დაეცნენ რევოლიუციონერების ქარავანს, რომელსაც პატრონები მიჰქონდა არდებილში. რევოლიუციონერებმა უკუაგდეს შახსევენები და 1 კაცი და 5 ცხენი მოუკლეს მათ.

**ოსმალეთისა და გერმანიის მოქმედება სპარსეთში.**

„გოლ. მოსკვი"-ს კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან:

„რუსეთის დიპლომატთა წრეებში აშკარად ლაპარაკობენ, რომ ოსმალეთი მეტად ორპირ როლს თამაშობს სპარსეთის საქმეებშიო. იგი თან სპარსელ რევოლიუციონერებს ექომაგება, თან თავის ჯარს აგროვებს ურმიაში, რაც მეტად საშიშია რუსეთის საზღვრისა და კავკასიისთვისო.

რუსის დიპლომატები დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე გერმანიის უცნაურ როლს. ამ დღეებში თავრიზში გაფანტეს პროკლამაციები რუსის ჯარის წინააღმდეგ. გამოირკვა, რომ ეს პროკლამაციები დაეფანტა ვიღაც ულამ-ალის. იგი დაატუსაღეს და გაჩხრეკის დროს უპოვეს მოწოდება ზედ წარწერით: „ცენტრალური კომიტეტი ადერბეიჯანის რევოლიუციონერებისა; გერმანელთა განყოფილება." რუსის დიპლომატიის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე გერმანიის ქვეშევრდომის ვაჭარ შინემანის საიდუმლო მოქმედებას თეირანში. იგი თურმე ფულით თუ ზნეობრივ დახმარებას უწევს სპარსელ რევოლიუციონერებს. თუმცა გერმანიის მთავრობამ განაცხადა, არაფერი საერთო არა მაქვს რა შინემანთანო, მაგრამ მაინც ბევრი საბუთია ვიფიქროთ, რომ შინემანი საიდუმლო აგენტია გერმანიისა. აქცევენ ყურადღებას იმასაც, რომ ბერლინში დაარსდა კომიტეტი სპარსეთის ერის ინტერესების დასაცველად. მის მათაურებად არის ბნ: დოქტორები რორბარტი და ლეპსიუსი."

# კრიტოსის საქმე

**საუბარი დიპლომატთან.**

ერთ გამოჩენილ ოსმალელ დიპლომატს უთქვამს „რეჩ"-ის თანამშრომლისთვის:

კრიტოსის საქმე ამ ჟამად მეტად გამწვავებულია. მალე მფარველი-სახელმწიფოები გაიყვანენ თავიანთ ჯარს კუნძულიდან და მაშინ გადასწყდება, იქნება ომი თუ არა.

ყველას თითქო დაავიწყდა, რომ ახალმა წესწყობილებამ ოსმალეთში მთლად შეარყია ყველა პლანი და განზრახვა როგორც ოსმალეთის სხვა და სხვა ერებისა, ისე დიდის სახელმწიფოებისა. მაჰმად მეხუთის ტახტზე ასვლამ ბოლო მოუღო აბდულ-ჰამიდის დამღუპველ პოლიტიკას. ოსმალეთის ერმა თავის სიცოცხლეში პირველად მოიპოვა უფლება—ხმა მაღლა სთქვას ის, რაც გულში უდევს. მასში გაიღვიძა ეროვნულმა შეგნებამ და ამიტომ იგი გაბედულად, საქვეყნოდ აცხადებს, რომ კრიტოსის წართმევის ნებას არავის მისცემს. და აი, ამ განცხადებას სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ.

ოსმალეთი ყველაფრისთვის მზადაა. მას მშვენიერი ახალი ფლოტი აქვს; მისი ჯარი, რომლის მოქმედება ყველას კარგად ახსოვს, უმთავრესად შესდგება იმ კორპუსებისგან, რომლებმაც ტახტიდან ჩამოაგდეს აბდულ-ჰამიდი. ჯარს უფროსობენ საყვარელი აფიცრები, რომლებსაც თითქმის ყველას გერმანიაში აქვს მიღებული უმაღლესი სამხედრო განათლება. ოსმალეთს აქვს მშვენიერი მსწრაფლმსროლელი ზარბაზნები. მას შეუძლიან სულ მოკლე ხანში მიიყვანოს საბერძნეთში 200 ათასი მშვენივრად შეიარაღებული ჯარისკაცი, საბერძნეთი-კი ძლივ-ძლივობით მოაგროვებს 70 ათას კაცს.

საბერძნეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს კარგად ესმისთ, რომ მათ ხელს არ მისცემთ ომი ოსმალეთთან. პირიქით, მათ ძლიერ მშვენივრად ესმისთ, რომ ოსმალეთთან შეთანხმება დიდად სასარგებლო იქნება მათთვის.

მაგრამ ვინ იცის უჩინარი ხელი არ უსვენებს, მუჯლუგუნსა სცემს კრიტოსელებს და საშიშიც სწორედ თითონ ამ კუნძულის მოქმედებაა. როგორც ისმის, კრიტოსელები მშვენივრად შეიარაღებულან და მათ დღესაც მოსდისთ თურმე ზარბაზნები და სამხედრო სურსათი. ყველა ეს სიმართლესა ჰგავს და უნდა გამოტეხით გითხრათ, რომ ომი კუნძულზე მეტად მძიმე იქნება ოსმალებისთვის. კუნძულის მთებში კრიტოსელები მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ოსმალებს. პარტიზანული ომი მეტად საშიშია ჯარისათვის. მაგრამ, თუ ომი დაიწყო, დიდი სახელმწიფოებიც იძულებულნი იქნებიან ჩაერივნენ საქმეში, რადგან კრიტოსის საქმეს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ხოლო თუ სახელმწიფოებს ომი არა ჰსურთ, მათ კრიტოსის ეხლანდელი მდგომარეობა უნდა შეუცვლელად დატოვონ. კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ ოსმალეთს არაფერი არ დაუშავებია საბერძნეთისთვის და ეს გარემოება როდი უნდა ავიწყდებოდეთ ბერძნებს".

# რუსეთი

✦ **საგზაო მინისტრის ბრძანება.** საგზაო მინისტრს ყველა რკინის გზებისთვის ბრძანება დაუგზავნია. ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადმოსახლებულების ოჯახები, რომლებიც თავიანთ ქმრებს მისდევენ, რკინის გზებზე იმავე შეღავათით სარგებლობენ, როგორითაც შიდა რუსეთიდან ციმბირში, ან სხვაგან დასასახლებლად წასული გლეხებიო, ე. ი. მესამე კლასის მეოთხედ ფასს იხდიანო.

✦ **უარი სთქვეს!** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს" მიჰბაძა „მთავარ-ანგელოზ მიხეილის კავშირმა" და მანაც უარი განაცხადა, პოლტავის დღესასწაულებში მონაწილეობას არ მივიღებთო. „კავშირის" აზრით ამის მიზეზი ის არის, რომ მთავრობამ პოლტავის დღესასწაულებში შესაფერი ალაგი არ მისცა ეროვნულ ორგანიზაციებს. „მთავარ-ანგელოზ მიხეილის კავშირის" მეთაურად პურიშკევიჩი ითვლება. როგორც სჩანს პოლტავის დღესასწაულები მშვიდობიანად ჩაივლის!!

# წერილი რედ. მიმართ

რადგან არ შემიძლიან ცალ ცალკე მადლობა გამოუცხადო ყველა იმათ, ვინც ავადმყოფობის დროს მნახა და აგრეთვე წერილით თუ დეპეშით თანაგრძნობა გამომიცხადა, ამიტომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულწრფელ მადლობას ვუძღვნი ყველას იმ თანაგრძნობისთვის, რომელიც არასოდეს არ დამავიწყდება.

**თავ. ვასილ ჩერქეზიშვილი**


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარაშეცკაია:** 6—7 ½. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, ვანნები ... [illegible]
... მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—112)

# სიკვდილი ბაღლინჯოებს

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არ ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი. დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასის დადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" აზნაბაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, პუშკინის ქუჩა, № 15 და აფთიაქის საწყობში კოჩინევისა, ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %. (15—ახ.—7)

# ბაღი-რესტორანი

◀ **ამხანაგობის** ▶

# „იუჟანე"-ში

სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაზინო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სახმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია.
телефонъ N 233. (50—გაყ.—12)

# საკონკურსო ეგზამენებისთვის

**ახალი სრული კატალოგი (№ 26), გამოცემული ინჟ.**

◀ **პ. კ. შმულევიჩის მიერ** ▶

გამოვიდა 15 ივნისს და ეგზავნება ყველა მსურველს **უფასოდ.** მსურველმა უნდა მიმართოს გამომცემლის კანტორას:
С.-Петербургъ, Ивановская ул., д. 6. (ტელეფონი 236—85).
(Метцль и Ко. N 94576). (3—6.—2)

# გაფრთხილება

# დ. ზ. სარაჯიშვილისა

**კანტორა ტფილისში.**

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი"**, და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე".** (20—234—16)

# პროვოდნიკის

1897 წ. 1888

1908 წ.

# ამხანაგობა

# რიგაში

**საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში**

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**
**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**
**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**
**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**
**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**
**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**
**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**
**საშლელი რეზინი „სპილოს" მარკისას**

# ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების

# „პროვოდნიკი"-სა